



ბანკი & თაბარიტი

ფინანსთა უწყველობის

გლობალური კაპიტალის ბაზრები

3Q26 მოლოდინები



ივლისი 2026




გლობალური კაპიტალის ბაზრები - 3Q26 მოლოდინები

ძირითადი მიგნებები

- Fed-მა განაკვეთი 3.50–3.75%-ზე შეინარჩუნა. ფედერალური რეზერვის ახალი თავჯდომარის, კევინ უორშის პირველი სხდომა წლის ბოლოსთვის უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების პროგნოზებით დასრულდა. ინფლაციამ მაისში 4.2%-ს მიაღწია, ივნისში კი 3.5%-მდე დაეცა ნავთობის ფასების კლების ფონზე.
- აშშ-ის აქციები პირველი კვარტლის შემდეგ გაიზარდა, სამივე ინდექსმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. წამყვანი სექტორი კვლავ, მეხსიერებისა და ჩიპების კომპანიები იყო. SpaceX-ი კი ისტორიაში ერთ-ერთი უმსხვილესი IPO-ს განთავსებითა და 2 ტრილიონ დოლარზე მაღალი შეფასებით, Nasdaq-ს შეუერთდა.
- ირანის კონფლიქტი არ დასრულებულა. ჰორმუზის კრიზისის ფონზე, ნავთობის ფასი 120 დოლარს აღემატებოდა, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ კი, ~73 დოლარამდე დაეცა, ივლისში, საომარი მოქმედებების აღდგენის შემდეგ, კვლავ 85 დოლარს გადააჭარბა.
- AI დანახარჯები ბაზრის მთავარ თემად რჩება - ჰიპერსკეილერების კაპიტალური დანახარჯები 2025–2027 წლებში 1.15 ტრილიონ დოლარს უახლოვდება.

შერჩეული აქტივების კლასების შემოსავლიანობა, 1H26



წყარო: ბლუმბერგი

Silver: iShares Silver Trust (SLV); Gold: SPDR Gold Trust (GLD); Eurozone Equities: iShares MSCI Eurozone ETF (EZU); EM Equities: iShares MSCI Emerging Markets ETF (EEM); Japan Equities: iShares MSCI Japan ETF (EWJ); US Equities (small cap): Russell 2000 (RUT); Investment Grade Bonds: iShares Investment Grade Corporate Bond ETF (LQD); High Yield Bonds: iShares High Yield Corporate Bond ETF (HYG)



ობლიგაციების ბაზარი

2026 წლის მეორე კვარტალის ბოლოს, საპროცენტო განაკვეთებისადმი არსებული მოლოდინები მკაფიოდ შეიცვალა. აშშ-ს ფედერალურმა რეზერვმა განაკვეთი 3.50–3.75%-ზე შეინარჩუნა, თუმცა განწყობა შეიცვალა. Fed-ის ახალი თავჯდომარის კევინ უორშის პირველი სხდომა გარდამტეხი აღმოჩნდა: კანონმდებელთა ნახევარი თვისის რომ საპროცენტო განაკვეთები მომავალში უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა, ფედერალური რეზერვის ინფლაციის პროგნოზი გაიზარდა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შემცირდა. უორშმა ასევე მიზანმიმართულად შეამცირა სამომავლო გადაწყვეტილებების შესახებ სიგნალები, ამიტომ ბაზრები ახლა ყოველ სტატისტიკურ მონაცემზე უფრო მკვეთრად რეაგირებენ.


ინფლაციამ პიკს მიაღწია. წლიური ინფლაცია მაისში 4.2%-მდე ავიდა - უმაღლესი ნიშნული 2023 წლის აპრილის შემდეგ. თუმცა რადგან ივნისში საომარი მოქმედებები ირანსა და აშშ-ს შორის დროებით შეჩერდა, ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა. 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების სარგებელი დაახლოებით 4.62%-მდე გაიზარდა.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი ივნისში 2%-დან 2.25%-მდე გაზარდა, რაც სამი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა იყო. სუსტი ეკონომიკური ზრდის პროგნოზების ფონზე. ბაზრები ECB-ის მიერ განაკვეთის კიდევ ერთ გაზრდას დეკემბრამდე ვარაუდობენ.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ბაზრები ივლისის ბოლოს ფედერალური რეზერვის მიერ განაკვეთის შენარჩუნებას მოელიან, ხოლო სექტემბრისთვის მის გაზრდას ვარაუდობენ. ამ გარემოში მოკლევადიანი ობლიგაციები ნაკლებ საპროცენტო რისკს ატარებს, ვიდრე გრძელვადიანი ობლიგაციები, რომლებიც ზეწოლის ქვეშ არიან, სანამ განაკვეთის ზრდის ალბათობა არსებობს.


აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები



წყარო: ბლუმბერგი

*წყვეტილი ხაზები ასახავს პროგნოზს 2026 წლის იანვრის შემდეგ.

Fed და ECB-ის საპროცენტო განაკვეთი



წყარო: Fed, ECB



საფონდო ბაზარი

წლის პირველი ნახევარი ორ სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს. მარტში S&P 500 დაეცა, თუმცა მეორე კვარტალში დანაკარგები სრულად ანაზღაურა და თითქმის 14%-ით გაიზარდა. წამყვანმა ინდექსებმა რეკორდულ ნიშნულებს მიაღწიეს.

ამ აღმავლობას კომპანიების ძლიერმა შემოსავლებმა შეუწყო ხელი, რომლებმაც პროგნოზებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. FactSet-ის მოლოდინით, მოგების მაღალი ზრდა 2026 წლის განმავლობაში შენარჩუნდება.


პირველ ნახევარში შედგა SpaceX-ის ისტორიული აქციების პირველადი განთავსება: აქციები \$135-ად შეფასდა, კომპანიის ღირებულებამ დებიუტისას \$2 ტრილიონს გადააჭარბა, ილონ მასკი კი პირველი ტრილიონერი გახდა. 7 ივლისს SpaceX Nasdaq-ს შეუერთდა, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ხელოვნურ ინტელექტთან (AI) დაკავშირებული აქციების მიმართ.

მიუხედავად ამისა, ბაზრის ზრდა მაღალ-კონცენტრირებულია ჩიპების მწარმოებლებზე (ლიდერი Micron-ია, რომლის ღირებულებამ \$1 ტრილიონს გადააჭარბა). ივლისის დასაწყისში ტექნოლოგიური აქციების ვარდნამ აჩვენა, რომ ერთი სექტორის დომინირებას შესაბამისი რისკებიც ახლავს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ინვესტორები დაინტერესებულნი არიან, გადააჭარბებს თუ არა კომპანიების მოგება ისედაც მაღალ მოლოდინებს, ამასთან, ბაზარი ელოდება ფედერალური რეზერვის (Fed) მომდევნო ნაბიჯს საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით. ამ ფონზე, SpaceX-ის აქციების ფასის დინამიკა პოსტ-IPO პერიოდში მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება იმისა, თუ რამდენად შენარჩუნებულია ბაზარზე მოთხოვნა მსხვილ, ხელოვნური ინტელექტის (AI) სექტორთან დაკავშირებულ პირველად საჯარო განთავსებებზე (IPO).


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული ინდექსების ღირებულების ცვლილება



წყარო: ბლუმბერგი

*Index value - როგორ იცვლება შერჩეული აქციებისგან შედგენილი პორტფელი, სადაც თითოეულ აქციას აქვს თავისი წილი და დროთა განმავლობაში ხდება კორექტირება, იმისათვის, რომ შედეგები ერთმანეთთან შესადარებელი იყოს.



ნავთობი და ენერგეტიკა


ირანის კონფლიქტმა ნავთობის მიწოდების უპრეცედენტო შეფერხება გამოიწვია. ნავთობის ფასი \$120-ს გასცდა, რამაც Exxon Mobil-ისა და Chevron-ის აქციები 2026 წლის მაქსიმუმამდე აიყვანა. გარდამტეხი მომენტი ივნისის შუა რიცხვებში დადგა: აშშ-სა და ირანის შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ ნავთობი (Brent crude) \$73-მდე შეამცირა. საომარი სიტუაციის განეიტრალების ფონზე, ენერგეტიკულმა გიგანტებმა მანამდე მიღებული მოგება თითქმის სრულად დაკარგეს — Exxon-ი პიკიდან 23%-ით დაეცა, Chevron-ი 21%-ით, ხოლო ევროპული Shell და BP რამდენიმე თვის მინიმუმებს დაუბრუნდნენ.

ივლისში ვითარება კვლავ დაიძაბა. მას შემდეგ, რაც აშშ-მ ირანულ გემებზე ბლოკადა აღადგინა, ნავთობი ისევ \$85-ს გასცდა, რასაც ნავთობკომპანიების აქციების მცირე ზრდაც მოჰყვა. ამავდროულად, მაღალი ფასების გამო აზიაში მოხმარება და მოთხოვნა მცირდება. პროგნოზები რადიკალურად განსხვავებულია: ხანგრძლივი მშვიდობის შემთხვევაში ანალიტიკოსები ვარაუდობენ, ფასის \$40-მდე ვარდნას, ხოლო ესკალაციისას - \$150-მდე ზრდას.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ნავთობის აქციებმა უკვე თითქმის სრულად დაკარგეს მიმდინარე წლის კონფლიქტით გამოწვეული ფასების ნამატი. სწორედ ამიტომ, ვითარების ხელახალი დაძაბვა ბაზარზე მყისიერ რეაგირებას იწვევს, რაც მიმდინარე კვირამაც დაადასტურა. თუმცა, თუ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შენარჩუნდა, ეს ზრდა შესაძლოა ისევე სწრაფად განეიტრალდეს. გრძელვადიან ჭრილში სხვა სექტორები, შესაძლოა, უფრო მყარ შესაძლებლობებს სთავაზობდნენ ინვესტორებს; მთავრობები კვლავ აქტიურად ფოკუსირდებიან განახლებად ენერგიაზე, ბირთვულ ენერგეტიკასა და ალტერნატიულ წყაროებზე, რათა მაქსიმალურად შეამცირონ დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებზე.


შერჩეული აქციების მოლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული ინდექსების ღირებულების ცვლილება



წყარო: ბლუმბერგი

*Index value - როგორ იცვლება შერჩეული აქციებისგან შედგენილი პორტფელი, სადაც თითოეულ აქციას აქვს თავისი წილი და დროთა განმავლობაში ხდება კორექტირება, იმისათვის, რომ შედეგები ერთმანეთთან შესადარებელი იყოს.



ხელოვნური ინტელექტი

თუ წლის პირველ ნახევარში ბაზრის ვოლატილობა კონფლიქტმა განსაზღვრა, მისი მიმართულება ხელოვნური ინტელექტის (AI) სექტორში განხორციელებულმა ხარჯებმა განაპირობა. საგაზაფხულო საანგარიშო პერიოდში, ოთხი ყველაზე მსხვილი ინვესტორიდან უმრავლესობამ 2026 წლის კაპიტალური დანახარჯების გეგმები გაზარდა, რაშიც ლიდერი Microsoft-ია, რომლის ხარჯებიც 190 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ერთ-ერთ მთავარ ბენეფიციარად Oracle იქცა, რომელმაც OpenAI-ისგან მსხვილი ინფრასტრუქტურული შეკვეთები მიიღო და 2026 წლის ბოლომდე 45-50 მილიარდი დოლარის მოცულობის დაფინანსება გამოყო. სწრაფად ფართოვდებიან ახალი თაობის ღრუბლოვანი (neocloud) პროვაიდერებიც, როგორიცაა CoreWeave და Nebius, თუმცა ისინი საკუთარ ზრდას, ჰიპერსკეილერებისგან განსხვავებით (რომელთაც დიდი ფულადი ნაკადები აქვთ), სესხებით აფინანსებენ. მიწოდების მხარეს, Nvidia-სა და AMD-ის პარალელურად პოზიციებს იმყარებს Broadcom-ის ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული AI ჩიპები. სამივე მათგანის მთავარი მწარმოებელი და ამ ინფრასტრუქტურული ბუმის უკან მდგომი ძალა Taiwan Semiconductor Manufacturing Company (TSMC) გახლავთ.


ამასთან, რისკები და ეჭვებიც არანაკლებ რეალურია. სხვაობა გაჩნულ ხარჯებსა და AI-დან მიღებულ შემოსავლებს შორის სულ უფრო იზრდება, შეფერხების მთავარმა მიზეზმა კი ჩიპებიდან ელექტროენერგიაზე გადაინაცვლა — Microsoft-მა განაცხადა, რომ აქვს ღრუბლოვანი შეკვეთების დიდი პორტფელი, რომელთა შესრულებასაც ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ვერ ახერხებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია SpaceX: მისი AI განყოფილება ამჟამად ყველაზე დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს — იმაზე მეტსაც კი, ვიდრე სარაკეტო და Starlink-ის ბიზნესები ერთად აღებული. გარდა ამისა, კომპანიამ დაიწყო მონაცემთა ცენტრების სიმძლავრეების გაქირავება გარე AI მომხმარებლებისთვის, რაც საკმაოდ უჩვეულო შემობრუნებაა კოსმოსურ ხომალდებსა და თანამგზავრულ ინტერნეტზე ორიენტირებული კომპანიისთვის.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ივლის-აგვისტოს საანგარიშო პერიოდი ბაზრისთვის მორიგი ტესტი იქნება: შენარჩუნდება თუ არა ხარჯების გეგმები, დაეწევა თუ არა მათ AI-დან მიღებული შემოსავლები და რას იტყვიან კომპანიები ელექტროენერგიის მიწოდებასა და მზარდ ამორტიზაციის ხარჯებზე. გავრცელდება თუ არა ბაზრის აღმავლობა ხელოვნური ინტელექტის მიღმა, თუ უბრალოდ მოხდება კაპიტალის როტაცია თავად სექტორის შიგნით — სწორედ ეს არის მთავარი კითხვა საერთო ამონაგების განსასაზღვრად.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.



2026 წლის მოლოდინები

დღევანდელი ბაზრის მოლოდინებით, აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების სარგებელი ამ კვარტალში პიკს მიაღწევს. 2-წლიანი მესამე კვარტალში 3.99%-ს მიაღწევს (Fed-ის მოსალოდნელი ზრდის ფონზე), შემდეგ 2027 წლის შუა რიცხვებისთვის 3.76%-მდე დაეცემა. 10-წლიანი უფრო მსუბუქ ტრაექტორიას მიჰყვება - 4.44% მესამე კვარტალში, -4.35%-თან დამყარებით.

ევროპაში კორექცია დიდწილად დასრულებულია. 10-წლიანი გერმანული Bund 2027 წლის შუა რიცხვებამდე -3.00%-თან შენარჩუნდება - ECB-ის მოსალოდნელი ზრდა უკვე ფასშია. EURIBOR წლის ბოლომდე 2.47-2.48%-მდე გაიზრდება.

ფიქსირებული შემოსავალი

შემოსავლიანობის პროგნოზები (%)

	Last	3Q26F	4Q26F	1Q27F	2Q27F
აშშ-ს ობლიგაციები					
30-year	4.84	4.94	4.89	4.87	4.88
10-year	4.26	4.44	4.4	4.36	4.35
5-year	3.88	4.10	4.03	3.98	3.93
2-year	3.69	3.99	3.89	3.81	3.76
SOFR	3.60	3.65	3.62	3.56	3.47
გერმანიის ბონდები					
10-year	3.00	2.97	3.01	2.99	2.98
2-year	2.54	2.59	2.57	2.53	2.43
EURIBOR	2.31	2.47	2.48	2.46	2.38

წყარო: ბლუმბერგი

6-12-თვის მოლოდინები

S&P 500 სექტორები	ETF	მოლოდინები
Financials	XLFX	
Materials	XLBM	
Energy	XLLE	
Technology	XLLE	
Consumer Staples	XLBM	
Communications	XLKX	
Utilities	XLVX	
Industrials	XLPL	
Health Care	XLRE	
Real Estate	XLUX	
Consumer Discretionary	XLIX	

წყარო: Charles Schwab

აქციები	ETF	მოლოდინები
US	SPY	
Japan	EWJ	
China	MCHI	
UK	EWU	
Emerging Markets	EEM	
Europe	IEUR	

Positive Neutral Negative

წყარო: BlackRock Investment Institute



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჭგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტისგან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირების პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საუფქველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდილით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: 3 A. Pushkin Street, Tbilisi 0108, Georgia

ტელ: +995 32 2401 111

კვლევების დეპარტამენტი: research@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერო დეპარტამენტი: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2444 132

საინვესტიციო ბანკინგის დეპარტამენტი: lb@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)

მარიამ ნატროშვილი - კაპიტალის ბაზრების ანალიტიკოსი

ელ.ფოსტა: ma.natroshevili@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 ext. 3452